

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა

განათლების ფაკულტეტის არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს განათლების მიმართულებით.

ფაკულტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ფაკულტეტის დებულებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე;

უნივერსიტეტის მისიისაგან გამომდინარე ფაკულტეტი ყველა დაინტერესებულ პირს ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას. თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.

მიზნები და ამოცანები:

ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - ბაკალავრების მომზადება.

ბ) სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

განათლების მიმართულებით აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. კონკრეტულად შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება:

ა) მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტის საგანმანათლებლო პროგრამა.

ბ) საბაკალავრო პროგრამები: დაწყებითი განათლება; სპორტი;

გ) სამაგისტრო პროგრამები: განათლების ადმინისტრირება; საბაზო და სამუშაო სკოლის საგნისან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი;

დ) სადოქტორო პროგრამა: განათლება

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;

სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა.

ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები და მათი ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
დიდი ისტორია	არასაკმარისი ფინანსური რესურსი
ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა	არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
ინსტიტუციური აკრედიტაცია	პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რესურსების პრობლემა
პროფესიონალი კადრები	სუსტი ურთიერთობა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან
დასაქმების ბაზრის მზარდი მოთხოვნილება	
სტუდენტთა მზარდი რაოდენობა	
მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრი	
მოსამზადებელი ცენტრი	
ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	
სქოლნი	

საფრთხე	შესაძლებლობა
სპორტის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის მზადყოფნის პრობლემატურობა	ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაცია
	სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობა

სტრატეგიული მიზნები:

განათლების ფაკულტეტის პერსპექტივიდან, მისიიდან, ღირებულებებიდან, ძლიერი და სუსტ მხარეთა ანალიზიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი მიზნების მიღწევა:

მიზანი 1: მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვა.

მიზანი 2: სწავლების პრაქტიკული მხარის გაუმჯობესება, სტუდენტთა უზრუნველყოფა

საუკეთესო საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით, აუდიტორიებითა და სხვა საშუალებებით.

მიზანი 3: მაღალი კვალიფიკაციისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე კადრების მოზიდვა და შენარჩუნება.

მიზანი 4: ყურადღების გამახვილება სტუდენტთა პიროვნული აღზრდისა და განვითარების პროგრამებზე.

მიზანი 5: ისეთი ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გაზრდის ფაკულტეტის

ფინანსურ შემოსავალს და ხელს შეუწყობს სწავლისა და სწავლების უკეთეს ორგანიზებას

მიზანი 6. სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ღირებულებების გაძლიერება, რათა

ფაკულტეტის მთლიანი შემადგენლობა თავს გრძნობდეს კეთილმოსურნე გარემოში;

ფაკულტეტის უნიკალური (სხვა ფაკულტეტებისგან განსხვავებული) მახასიათებლის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება სტუდენტთა მაქსიმალური კონტინენტის მოზიდვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. უახლოეს პერიოდში იგეგმება სტუდენტთა რაოდენობის სტაბილიზაცია და ამავე დროს ყველა სპეციალობაზე ჩასარიცხი კონტინენტის ოპტიმალური რაოდენობის გაზრდა. ამისათვის საჭიროა დაფინანსების წყაროების მოძიება, რაც ფაკულტეტს საშუალებას

მისცემს, სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, შეინარჩუნოს მისი მაქსიმალური რაოდენობა; ფინანსურად წახალისოს მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტი, რაც აბიტურიენტებისათვის ჩვენი ფაკულტეტის არჩევის დამატებითი სტიმული იქნება.

დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებებისა და კვალიფიციური კადრის მომზადების თანხვედრისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სისტემატური განახლება. სადაც პოპულარობიდან გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამათა ხანგრძლივობა და პროფესიული კარიერის შემდგომი ზრდა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელია საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების შეტანა, რაც მასწავლებლის პროფესიაში შესვლას გულისხმობს. აღნიშნული ცვლილებების შემდგომ იგეგმება 240 კრედიტიანი მასწავლებლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

ასევე იგეგმება:

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერება სტუდენტთა შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მომზადების მიზნით.

რეგიონში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება.

თანამედროვე და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რესურსებით უზრუნველყოფა (პროფესორ-მასწავლებელთა კონტინგენტი, ლიცენზირებული და თანამედროვე ლიტერატურა, სხვათა გამოცდილების გამოყენება და სხვ.).

პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური და სამეცნიერო დონის ამაღლება, მათი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის პირობების შექმნა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება, მივლინება წამყვან უმაღლეს მასწავლებლებში; პრაქტიკული საქმიანობით დაკავებულ სპეციალისტთა მოზიდვის მიზნით მენეჯმენტის გაძლიერება; აკადემიური თუ მოწვეული კონტინგენტის მუშაობის ეფექტურობის შემოწმება; პრიორიტეტების დადგენა და მათი კონტროლი.

აუცილებელია ფაკულტეტის შემოსავლის გაზრდა არა მარტო სტუდენტთა და მსმენელთა გადასახადის ხარჯზე, არამედ სხვა წყაროებიდან (გრანტები, სტიპენდიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, შემოწირულობანი). ამისათვის კი საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერება, რაც საშუალებას მოგვცემს მონაწილეობა მივიღოთ სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებელ კონკურსებში; ფაკულტეტის რესურსების გადანაწილება პრიორიტეტულ და გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებზე; სპეციფიკური კამპანიის დაწყება იმისათვის, რომ მოვიპოვოთ დაფინანსება საერთაშორისო და სამამულო ორგანიზაციებიდან; ფაკულტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულთაგან მზრუნველთა საბჭოს შექმნა.

ფაკულტეტის ეფექტური საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ადამიანური ურთიერთობები ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას და თითოეულ წევრს ჰქონდეს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება. საჭიროა ყურადღების გამახვილება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა, ერთიანობის განცდა, უნივერსიტეტში თუ საკუთრივ ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული ტრადიციების პატივისცემა.